საზოგადოების მდგრადი მზადყოფნა და ინფორმირებულება წყალდიდობის, მეწყრისა და ხანძრის რისკების წინააღმდეგ

თავი 7. გამძლეობის საზომი/ ინდიკატორი

ავტორები: პროფესორი სელჩუკ ტოპრაკი, პროფესორი ბანუ ცეტინი, ასოც. პროფესორი ბურაკ აიდოგანი,
ასოც. პროფესორი სიგდემ ბალჩიკი, ტაჰსინ გორმუსი, ოგუზ დალი

გებზეს ტექნიკური უნივერსიტეტი

Funded by the European Union

სარჩევი	2
7. გამძლეობის საზომი/ინდიკატორი	4
7.1 შესავალი კატასტროფებისადმი მდგრადობის საზომსა და ინდიკატორებში	5
7.1.1. კატასტროფებისადმი მდგრადობის საზომისა და ინდიკატორების განსაზღვრა და მნიშვნელობა	5
7.1.2. მდგრადობისა და კატასტროფების მართვას ურთიერთობის მიმოხილვა	6
7.1.3. ძირითადი ცნებები და ტერმინოლოგია	10
7.2. წყალდიდობის გამძლეობის საზომი და ინდიკატორები	13
7.2.1. წყალდიდობის საშიშროებისა და დაუცველობის მნიშვნელობა	13
7.2.2. წყალდიდობის რისკის შეფასების საზომი და ინდიკატორები	14
7.2.3. წყალდიდობისადმი მიდრეკილი თემებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადობის შეფასება	20
7.2.4. შემთხვევის შესწავლა და საუკეთესო მეთოდები წყალდიდობის მდგრადობის გასაზომად	21
7.3. მეწყერის გამძლეობის საზომი და ინდიკატორები	25
7.3.1. მეწყრის გამძლეობის საზომი და ინდიკატორები	25
7.3.2. მეწყრის რისკის შეფასების საზომი და ინდიკატორები	26
7.3.3. მეწყრისადმი მიდრეკილი ტერიტორიების გამძლეობისა და ფერდობის სტაბილურობის შეფასება	29
7.3.4. შემთხვევის შესწავლა და საუკეთესო მეთოდები მეწყრის მდგრადობის გასაზომად	30
7.4. ხანძრის გამძლეობის საზომი და ინდიკატორები	35
7.4.1. ხანძრის საშიშროებისა და დაუცველობის მნიშვნელობა	35
7.4.2. ხანძრის რისკის შეფასების საზომი და ინდიკატორები	35
7.4.3. ხანძრისადმი მიდრეკილი თემებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადობის შეფასება	39
7.4.4. შემთხვევის შესწავლა და საუკეთესო მეთოდები ხანძრის მდგრადობის გასაზომად	40
7.5. გაზმოვისა და ინდიკატორების გამოყენება კატასტროფებისთვის მზადყოფნასა და რეაგირებისას	42
7.5.1. გამძლეობის საზომისა და ინდიკატორების ინტეგრირება მზადყოფნის დაგეგმვაში	42
7.5.2. ადრეული გაფრთხილების სისტემების საზომისა და ინდიკატორების გამოყენება	45
7.5.3. პასუხის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის შეფასება საზომის საშუალებით	46
7.6. აღდგენისა და რეკონსტრუქციის საზომი და ინდიკატორები	47
7.6.1. კატასტროფის შემდგომი აღდგენისა და რეკონსტრუქციის შეფასების საზომი და ინდიკატორები	47

7.6.2. პროგრესის მონიტორინგი და აღდგენის ძალისხმევის ეფექტურობის შეფასება	51
7.6.3. წარსული კატასტროფებისგან მიღებული გაკვეთილები	53
ბიბლიოგრაფია	56

თავი

7

გამძლეობის საზომი/ინდიკატორი

მთელ მსოფლიოში ხდება კატასტროფები და, შესაბამისად, მათი მიზეზების მიხედვით ისინი შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ტიპებად. ბუნებრივი კატასტროფები არის მოვლენები, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ძალებითა და პროცესებით, როგორიცაა მეტეოროლოგია და გეოლოგია. ისინი შეიძლება იყოს ძალიან დიდი მასშტაბის და აქვთ სიცოცხლისა და ქონების დაკარგვის პოტენციალი. ბუნებრივი კატასტროფების მაგალითებია წყალდიდობები, მეწყერი, მიწისძვრები, ტყის ხანძრები, ქარიშხლები და ვულკანური ამოფრქვევები. ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფები არის ადამიანის მიერ წარმოშობილი კატასტროფები, როგორც მისი სახელი გულისხმობს და ზოგადად აქვს რეგიონალური ზემოქმედება. სამრეწველო ავარიები, სატრანსპორტო ავარიები, ბირთვული ავარიები, ბიოლოგიური და გარემოსდაცვითი კატასტროფები შეიძლება იყოს მაგალითი ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფებისა. კატასტროფები განსხვავდება გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატისა და ადამიანური ფაქტორების მიხედვით. ზოგიერთი რეგიონი უფრო მიდრეკილია კატასტროფების სპეციფიკური ტიპებისკენ მათი გეოგრაფიული მახასიათებლების ან კლიმატის გამო. სხვადასხვა ტიპის კატასტროფებთან დაკავშირებული შემთხვევების შაბლონებისა და პოტენციური რისკების ანალიზი გადამწყვეტია კატასტროფებისთვის მზადყოფნის, რეაგირებისა და შეკავების მცდელობებისთვის.

ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი განიცდის როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების გავლენას. მოცემული კატასტროფები წარმოადგენს სიკვდილისა და ფიზიკური დაზიანების რისკს და

შეიძლება გამოიწვიოს სახლების, საკუთრების და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურების განადგურება. შესაბამისად, კატასტროფებით დაზარალებულ პირებს აქვთ ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალი რისკი. კატასტროფის შემდეგ გამოვლენილი სტრესული რეაქციები მსგავსია ნებისმიერი სხვა ტრავმული მოვლენის შემდეგ გამოვლენილი რეაქციების. კატასტროფებმა შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური და ფიზიკური რეაქციების ფართო სპექტრი, მათ შორის რეაგირება მოვლენის შემდგომ პრობლემებზე და ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ გამომწვევ ფაქტორებზე.

კატასტროფების წარმოშობისა და გავლენის გააზრება გადამწყვეტია სტრატეგიების შემუშავებისთვის. მთავრობები, თემები და ინდივიდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მდგრადობის ჩამოყალიბებაში და კატასტროფების დამანგრეველი შედეგების მინიმუმამდე დაყვანაში.

7.1. შესავალი კატასტროფებისადმი მდგრადობის საზომსა და ინდიკატორებში

7.1.1. კატასტროფებისადმი მდგრადობის საზომისა და ინდიკატორების განსაზღვრა და მნიშვნელობა

კატასტროფები იწყება მცირე გაფრთხილებით , რის შედეგადაც ნადგურდება და ზიანდება ინფრასტრუქტურა, რაც ახდენს დიდ გავლენას დაზარალებულ მოსახლეობაზე. ასეთი სირთულეების პირობებში საზოგადოების გამძლეობა უმთავრესია. კატასტროფებისთვის მომზადების, რეაგირებისა და აღდგენის უნარმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ზიანის ხარისხზე და რეაბილიტაციის სიჩქარეზე. კატასტროფებისადმი მდგრადობის საზომი და ინდიკატორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საზოგადოების შესაძლებლობების ანალიზში.

ბოლო წლებში სტიქიური უბედურებები გახშირდა და გამწვავდა, რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, მოსახლეობის ზრდა და ურბანიზაცია. კატასტროფებისადმი მდგრადობის გაგებამ და გაზომვამ მზარდი მნიშვნელობა მოიპოვა. გადაწყვეტილების მიმღებები

პირველადი დახმარების მენეჯერები და მოხალისეები ცდილობენ გააუმჯობესონ კატასტროფებზე რეაგირებისა და აღდგენის მცდელობები. გამძლეობის საზომი მეტირკა გვთავაზობს საჭირო ინფორმაციას საზოგადოების ძლიერ მხარეებსა და დაუცველობაზე, რესურსების განაწილებზე, მზადყოფნის დაგეგმვისა და გრძელვადიანი აღდგენის სტრატეგიებზე. მდგრადობის სხვადასხვა ასპექტის რაოდენობრივი განსაზღვრით და ანალიზით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გამოავლინონ ხარვეზები და ჩაატარონ მიზანმიმართული ინტერვენციები, რათა გააძლიერონ საზოგადოების უნარი სტიქიური უბედურებებისთვის გასამკლავებლად.

კატასტროფებისადმი მდგრადობის მეტრიკის მიღება გადამწყვეტი ნაბიჯია კატასტროფების მართვის მიდგომების გასაუბჯობესებლად. სტიქიურ უბედურებებზე ტრადიციული რეაგირება ხშირად ფოკუსირებულია პირველადი დახმარების მცდელობებზე, ამასთან, უგულებელყოფს მდგრადობის აღდგენის ღონისძიებების მნიშვნელობას. კატასტროფებზე რეაგირებისა და აღდგენის დაგეგმვის პროცესში მეტრიკისა და ინდიკატორების ჩართვით, პირველადი დახმარების ჯგუფებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ინტერვენციების საერთო ეფექტურობის გაუმჯობესებით. უფრო მეტიც, ეს მეტრიკა შეიძლება იყოს პროგრესის შეფასებისთვის განკუთვნილი საორიენტაციო ნიშნები, რაც საშუალებას იძლევა გააუმჯობესოს კატასტროფებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების სტრატეგიები.

7.1.2. მდგრადობისა და კატასტროფების მართვას ურთიერთობის მიმოხილვა

კატასტროფების პირობებში საზოგადოების გამძლეობა შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც რთული ქსელი, კომბინირებული კომპონენტების სიმრავლით, რომლებიც ერთად განსაზღვრავენ მის უნარს გაუძლოს, უპასუხოს და აღდგეს. ეს შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოების აღდგენის შესაძლებლობების გაზომვით; ის მოიცავს წყალდიდობის შემდეგ ადაპტაციის, სწავლისა და გაუმჯობესების უნარის შეფასებას. წყალდიდობისადმი მდგრადობის შეფასება მოითხოვს

მრავალგანზომილებიან მიდგომას, რომელიც მოიცავს სოციალურ, ინფრასტრუქტურულ და ეკოლოგიურ ინდიკატორებს.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, კატასტროფების მართვის სფეროში ტერმინი „გამძლეობა" სულ უფრო პოპულარული ხდება. მდგრადობა შესაძლებელია შეფასდეს ინდივიდუალურ, საყოფაცხოვრებო, სათემო და ქვეყნის დონეზე. კატასტროფების მართვის სფეროში, მდგრადობის გამოკვლევა ძირითადად ფოკუსირებულია საზოგადოების დონეზე. ამ სფეროში, ინდივიდუალური მდგრადობის გამოკვლევა, როგორც ჩანს, არის ანალიზის შემდეგი ყველაზე გავრცელებული დონე, რომელიც ხშირად შესწავლილია ფსიქოლოგიურ და სამედიცინო ლიტერატურაში (Doorn, 2017).

გამძლეობის აღქმა და გაძლიერება შესაძლებელია სხვადასხვა დონეზე (წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაცია (IFRC), 2014) (სურათი 7.1):

- ინდივიდუალურ დონეზე, გამძლე ადამიანი კარგ ფიზიკურ ფორმაშა, ფლობს აუცილებელ ცოდნას, კომპეტენციებს, შესაძლებლობებს და აზროვნების ხერხს, რათა ადაპტირდეს ახალ გარემოში, გააძლიეროს საკუთარი, ასევე როგორც მეგობრების, ოჯახისა და საზოგადოების ცხოვრება. ადამიანი, რომელიც გამძლეა, იძენს სიძლიერის შეგრძნებას.
- საყოფაცხოვრებო დონეზე გამძლეობა ხასიათდება სახლის შიგნით გამძლე პირების არსებობით.
- საზოგადოების დონეზე, გამძლე საზოგადოება ხელს უწყობს შინამეურნეობებისა და მასში შემავალი ინდივიდების მდგრადობის გაზრდას.
- ადგილობრივ ხელისუფლებას, თავისი პასუხისმგებლობებით, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალურ მომსახურებას, სამართლებრივი რეგულაციების აღსრულებას, აქვს პოტენციალი გააძლიეროს ან შეამციროს საზოგადოების მდგრადობა, საყოფაცხოვრებო და ინდივიდუალურ დონეზე.

- მდგრადობა ეროვნული მთავრობის დონეზე მოიცავს რამდენიმე ასპექტს, როგორიცაა კანონები, სოციალური დაცვის სისტემები, პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა და მმართველობის საკითხები. ამ ფაქტორებს აქვთ პოტენციალი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ თემების გამძლეობაზე.
- ორგანიზაციები, როგორიცაა ეროვნული საზოგადოებები, მათ ფილიალებთან და მოხალისეებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მდგრადობის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანით.
- რეგიონულ და გლობალურ დონეზე, კონფლიქტების შედეგები, უსაფრთხოების ნაკლებობა; საკვების დეფიციტი; ფართო მიგრაცია; დაავადების გავრცელება; ეკონომიკური რეცესია; კლიმატის ცვლილება და დაბინძურება; გლობალიზაციისა და განვითარებადი ტექნოლოგიების ხელსაყრელი და არახელსაყრელი შედეგებია. ამ ყველაფერს აქვს ეფექტი ზოგადად საზოგადოებების გამძლეობის დონეზე.



სურათი 7.1. გამძლეობა სხვადასხვა დონეზე (IFRC, 2014).

კატასტროფის რისკების სამართავად მთავრობებისა და ორგანიზაციების მიერ, საგზაო რუქები იქმნება კონკრეტული ინტერვალებით კატასტროფების ზარალის შემცირებისა და კატასტროფების მიმართ საზოგადოების მდგრადობის გაზრდის მიზნით. ამ საგზაო რუქებიდან ყველაზე ყოვლისმომცველი, რომელიც ფოკუსირებულია კატასტროფების რისკის შემცირებაზე (DRR), არის ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო, რომელიც მომზადებულია 2005-2015 წლებში. შემდგომში, როგორც ამ პროცესის გაგრძელება, გამოქვეყნდა კატასტროფების რისკის შემცირების სენდაის ჩარჩო (2015-2030) (Varol and Kyrjkkaya, 2017).

კატასტროფის რისკის შემცირების თვალსაზრისით, ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო წარმოადგენს 5 პრიორიტეტულ მოქმედებას. (UNISDR, 2005):

- კატასტროფების რისკის შემცირება, ადგილობრივი და ეროვნული ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბებით.
- კატასტროფის რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მონიტორინგი, ადრეული გაფრთხილების სისტემების გაძლიერებასთან ერთად.
- განათლებისა და ინოვაციების გამოყენებით, მდგრადობისა და უსაფრთხოების ჩამოყალიბება.
- რისკის ფაქტორების შემცირება (რისკების მართვის შესაბამისი ტექნიკის მეშვეობით)
- კატასტროფებისთვის მზადყოფნის გაძლიერება ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად.

სენდაის ჩარჩომ (2015-2030) მიიღო ოფიციალური დამტკიცება გაეროს მე-3 მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა იაპონიაში, 2015 წლის 18 მარტს. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი გლობალური კატასტროფების რისკის შემცირების მცდელობაში (UNISDR, 2015). არსებობს 4 პრიორიტეტული ქმედება:

- კატასტროფის რისკის გააზრება
- კატასტროფის რისკების ეფექტური მოგვარების მიზნით კატასტროფების რისკის მენეჯმენტის გაძლიერება

- მდგრადობის გაზრდის მიზნით ინვესტიციების განხორციელება კატასტროფის რისკის შემცირებაში
- კატასტროფებისთვის მზადყოფნის გაუმჯობესება ეფექტური რეაგირების უზრუნველსაყოფად და აღდგენის ფაზებში ,,უკეთესი მშენებლობის" გასაადვილებლად.

7.1.3. ძირითადი ცნებები და ტერმინოლოგია

აუცილებელია ძირითადი ცნებებისა და მდგრადობის მეტრიკისა და ინდიკატორების ტერმინოლოგიის საერთო განმარტებების ჩამოყალიბება. ამ ცნებების გააზრება გადამწყვეტია ზუსტი ინტერპრეტაციისთვის და გამძლეობის მეტრიკის გამოყენებისთვის კონკრეტული კატასტროფის სცენარების კონტექსტში.


მოხალისის როლი სტიქიის დროს ხელს უწყობს თემების მხარდაჭერის გაძლიერებას. კატასტროფებისადმი მდგრადობის მეტრიკის შესაფასებლად და მიღებული ცოდნითა და უნარებით გამოყენებით, მოხალისეებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ კატასტროფებზე რეაგირების უფრო ეფექტურ და მდგრად ძალისხმევაში. მთელი ამ კურსის განმავლობაში, ჩვენ შევისწავლით საზომებსა და ინდიკატორებს, რომლებიც სპეციფიკურია სამი მნიშვნელოვანი ტიპის კატასტროფისთვის: წყალდიდობა, მეწყერი და ხანძარი. თითოეული ეს კატასტროფა გამოწვევაა და თითოეული სცენარისთვის შესაბამისი მდგრადობის სპეციფიკური ფაქტორების სწორი ანალიზი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კატასტროფებზე რეაგირების მიზნობრივი გეგმების ჩამოსაყალიბებლად.

სიტყვა "გამძლეობა" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან "resilio", რაც ნიშნავს უკან დაბრუნებას ან გადახტომას (Klein et al., 2003). გამძლეობა განისაზღვრება, როგორც სისტემისა და საზოგადოების უნარი, დაძლიონ კატასტროფები და საგანგებო სიტუაციები მინიმალური დაზიანებით და დაუბრუნდნენ წონასწორობის მდგომარეობას მათი ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ფიზიკური შესაძლებლობების დახმარებით (ვაროლი და კირიკაია, 2017). ლიუ და სხვ. (2017) განსაზღვრავენ გამძლეობას, როგორც შრეებიან სისტემას, რომელიც

წარმოიქმნება მრავალი განზომილებიდან. ძირითადი მდგრადობა შედგება ინდივიდების ელემენტებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადობას, როგორიცაა ფიზიოლოგია, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, ასაკი და ჯანმრთელობა. შინაგანი გამძლეობა შედგება ცვლადებისგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ რეაბილიტაციასა. გარე გამძლეობა შედგება სოციალურ-ეკოლოგიური ელემენტებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადობის განვითარებას ინდივიდის სიცოცხლის განმავლობაში. ამ სისტემის კომპონენტები შეიძლება მოიცავდეს სოციალურ სერვისებს, სამედიცინო მკურნალობაზე ხელმისაწვდომობას და სხვა რესურსებს, რომლებსაც აქვთ გარკვეული ურთიერთქმედება ინდივიდებთან.


მდგრადობას აქვს მნიშვნელობა ყველა ქვეყანაში (IFRC, 2014). დაუცველობა დაკავშირებულია სოციალურ, გარემოსდაცვით, ეკონომიკურ ან ფიზიკურ ფაქტორებთან, რომლებიც ზრდის სისტემის, ინდივიდის ან საზოგადოების მგრძნობელობას საფრთხის ზემოქმედების მიმართ. ზოგადად, რაც უფრო დიდია საზოგადოების ან ინდივიდის გამძლეობა კატასტროფების მიმართ და დაბალია მათი დაუცველობა, მით უფრო უკეთესად გაუმკლავდება ეს საზოგადოება კატასტროფებს (ვაროლი და კირიკაია, 2017).

სისტემის მდგრადობა მოიცავს სიმტკიცეს, სისწრაფეს და გაძლიერებას ბუნებრივი საფრთხისა და კატასტროფების წინაშე (სურათი 7.2). ელასტიური სისტემა ავლენს სიმტკიცეს საფრთხის ეფექტურად შთანთქმისა და გამკლავებაში, რაც იწვევს კატასტროფის შესაძლო შედეგების შემცირებას. ელასტიურ სისტემას ასევე შეუძლია სწრაფად აღდგეს კატასტროფის შემდეგ. საბოლოო ჯამში, აღდგენის ფაზაში, ელასტიური სისტემა აძლიერებს თავის შესაძლებლობებს მისი შემარბილებელი სტატუსის გაუმჯობესების, არსებული დაუცველობის შემცირებისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზით (Peacock, 2010).



სურათი 7.2. გამძლეობის გადამწყვეტი ასპექტები (Peacock, 2010).

სურათი 7.3 ასახავს თეორიულ გზას, რომელსაც მიჰყვება ორი საზოგადოება: (1) საზოგადოება უფრო მაღალი გამძლეობით (მყარი ხაზი) და (2) საზოგადოება დაბალი გამძლეობით (წყვეტილი ხაზი). ეს ორი გზა ასახავს თემების პროგრესულ ტრანსფორმაციას დროთა განმავლობაში ოთხ ეტაპად: კატასტროფამდე, კატასტროფისას, აღდგენისას და გრძელვადიანი აღდგენისას. ეს მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ უფრო მაღალი გამძლეობის მქონე საზოგადოება ხშირად ხვდება კატასტროფების ნაკლებ უარყოფით შედეგებს, მაშინ როცა დაბალი გამძლეობის მქონე საზოგადოება განიცდის კატასტროფებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ზემოქმედებას და, შესაბამისად, იღებს უფრო მნიშვნელოვან ზარალს. უფრო მეტიც, აშკარაა, რომ ნაკლებად გამძლე საზოგადოებას დასჭირდება უფრო ხანგრძლივი რეაბილიტაცია, რათა დაუბრუნდეს თავის რეგულარულ ფუნქციონირებას (Mayunga, 2007).



სურათი 7.3. თეორიულ გზა რომელსაც მიჰყვება გამძლე და ნაკლებად გამძლე თემები (Zhang (2006), Mayunga (2007)).

7.2. წყალდიდობის გამძლეობის საზომი და ინდიკატორები

7.2.1. წყალდიდობის საშიშროებისა და დაუცველობის ანალიზი

წყალდიდობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კატასტროფაა და მიუხედავად სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარებისა, ის კვლავ საზიანოა (პარკერი, 1999). წყალდიდობის მოვლენების შესწავლა და დაუცველობის რუქების შედგენა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კატასტროფების მართვაში (კუანგი და ლიაო, 2020). წყალდიდობის საშიშროების წარმოშობა მომდინარეობს მეტეოროლოგიური, გეოგრაფიული და ჰიდროლოგიური ფაქტორების ერთობლიობიდან. ინტენსიური და მდგრადი ნალექები და თოვლის დნობის გამო წყლის სწრაფი გამოყოფა წყალდიდობის ძირითადი წინაპირობებია. გარდა ამისა, კაშხლების რღვევამ ან სანაპირო შტორმებმა ქარიშხლის ტალღების სახით შეიძლება მშვიდი პეიზაჟები რამდენიმე წუთში გადააქციოს ქაოტურ, დატბორილ კატასტროფის ზონებად.

მიუხედავად იმისა, რომ წყალდიდობის საშიშროება გაურკვევლობის ფართო ჩრდილს აყენებს, დაუცველობა ამ მოვლენების წინაშე დაკავშირებულია

საზოგადოების გეოგრაფიულ მდებარეობასთან, დემოგრაფიულ შემადგენლობასთან და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. სანაპირო რეგიონები ზღვასთან სიახლოვიის გამო ზარალდება ქარიშხლის ტალღებით. ურბანული სივრცეები, ხშირად მჭიდროდ დასახლებული, განსაკუთრებით მგრძნობიარეა წყალგაუმტარი ზედაპირების არსებობის გამო, რაც ხელს უშლის ბუნებრივ დრენაჟს. სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა, როგორიცაა სიღარიბე და დაზიანებული საცხოვრებელი, შეიძლება გააძლიეროს წყალდიდობის გავლენა, რაც დაუცველ მოსახლეობას კიდევ უფრო დაუცველს გახდის წყალდიდობისგან.

მდგრადობა და რისკის შეფასება ავლენს არა მხოლოდ ჯაჭვის სუსტ კავშირებს, არამედ გვაწვდის ინფორმაციას წყალდიდობის ზემოქმედების პოტენციური გაძლიერების შესახებ კონკრეტული ფაქტორების გამო. მოცემული დაუცველობის ანალიზით, კატასტროფებზე რეაგირებისას მოხალისეებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მოარგონ თავიანთი მდგრადობის სტრატეგიები საზოგადოებაში არსებული სპეციფიკური სისუსტეებს.

7.2.2. წყალდიდობის რისკის შეფასების საზომი და ინდიკატორები

წყალდიდობის რისკის შეფასების ანალიზი მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას, სადაც იკვეთება საფრთხეები, დაუცველობა და შესაძლებლობები. ეს რთული პროცესი მოითხოვს სხვადასხვა საზომი მეტრიკისა და ინდიკატორის ინტეგრაციას, რათა მივიღოთ სრულად გავაანალიზოთ წყალდიდობის დინამიკა.

<u>რაოდენობრივი ალბათობა: წყალდიდობის სიხშირე, როგორც მეტრიკა</u>

წყალდიდობის რისკის შეფასების ცენტრში დგას წყალდიდობის სიხშირის მეტრიკის კონცეფცია, რომელიც რაოდენობრივად განსაზღვრავს წყალდიდობის წარმოშობის ალბათობას. ეს მეტრიკა ემყარება ისტორიულ მონაცემებს, რაც გვაწვდის ინფორმაციას წარსულში წყალდიდობის სიხშირის შესახებ. ეს ისტორიული კონტექსტი ემსახურება მომავლის წინასწარმეტყველების საფუძველს. წყალდიდობის სიხშირის ანალიზი ეხმარება კატასტროფებზე რეაგირების დაინტერესებულ მხარეებს, რათა მათ შეაფასონ წყალდიდობის ალბათობა და

შესაბამისად გამოიყოს რესურსები. ეს მეტრიკა, დაუცველობის ინდიკატორებთან შერწყმისას, ასახავს წყალდიდობის რისკის უფრო სრულყოფილ სურათს.

სოციალური ინდიკატორები

საზოგადოების მზადყოფნა წყალდიდობის წინაშე ხშირად ყალიბდება სოციალური ინდიკატორების მთელი რიგით. სოციალური მდგრადობის სასიცოცხლო ასპექტი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ცნობიერების დონე, განათლება და საზოგადოების შესაძლებლობები, მოახდინოს რესურსების მობილიზება წყალდიდობის დროს. კარგად ინფორმირებული საზოგადოება, რომელმაც იცის ევაკუაციის მარშრუტებისა და უსაფრთხოების პროტოკოლების შესახებ, უფრო ეფექტურად გადალახავს წყალდიდობის გამოწვევებს. სოციალური ერთიანობა ასახავს ურთიერთობების სიძლიერეს საზოგადოებაში. ძლიერი სოციალური კავშირები ხშირად გამოიყენება ინფორმაციის უკეთესად გავრცელებაში, მხარდაჭერის სისტემებში და რესურსების გაზიარებაში საგანგებო სიტუაციების დროს.

ინფრასტრუქტურული ინდიკატორები

საზოგადოების ფიზიკური ინფრასტრუქტურა ქმნის მისი გამძლეობის ხერხემალს. ინფრასტრუქტურული ინდიკატორების შეფასება გულისხმობს კრიტიკული ობიექტების, სადრენაჟო სისტემების, წყალდიდობის ბარიერებისა და სატრანსპორტო ქსელების გამძლეობის გამოკვლევას. სტრუქტურები, რომლებიც შექმნილია წყალდიდობის გასაძლებად, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების უნარს რეაგირებისა და აღდგენისთვის. წყალდიდობისადმი მდგრადი შენობები, სათანადო სადრენაჟო სისტემები, რომლებიც წყალს აშორებენ და სტრატეგიულად განლაგებული წყალდიდობის ბარიერები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ზიანის შემცირებაში. გარდა ამისა, წყალდიდობის დროს გადაუდებელი თავშესაფრების, ჯანდაცვის დაწესებულებებისა და საკომუნიკაციო ქსელების ხელმისაწვდომობა დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების უნარზე, შეამსუბუქოს კატასტროფის შემდგომი შედეგები.

ეკოლოგიური ინდიკატორები

ეკოსისტემები, როგორიცაა ჭაობები და ტყეები, ემსახურება როგორც ბუფერებს წყალდიდობის წინააღმდეგ, შთანთქავს ზედმეტ წყალს და ანელებს მის მოძრაობას. ეკოლოგიური ინდიკატორების სიჯანსაღე პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების გამძლეობაზე. დეგრადირებულმა ეკოსისტემამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს წყალდიდობის შეკავების სერვისები, რაც გამოიწვევს დაუცველობის გაზრდას. პირიქით, კარგად შემონახულმა ბუნებრივმა გარემომ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს წყალდიდობის ზემოქმედება. თემებსა და მათ მიმდებარე ეკოსისტემებს შორის სიმბიოზური ურთიერთობის აღიარება გადამწყვეტია ჰოლისტიკური მდგრადობის სტრატეგიების შესამუშავებლად.

მზადყოფნის ინდიკატორები

მზადყოფნის ინდიკატორები მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, რომლებიც ასახავს საზოგადოების მზადყოფნას წყალდიდობის წინააღმდეგ. ყოვლისმომცველი საგანგებო გეგმების არსებობა, სრული ევაკუაციის მარშრუტებითა და საკომუნიკაციო პროტოკოლებით, ემსახურება კოორდინირებული მოქმედების გეგმას. გადაუდებელი თავშესაფრების არსებობა და ხელმისაწვდომობა, რომლებიც აღჭურვილია იძულებით გადაადგილებული პირების დასასახლებლად და მხარდასაჭერად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. საზოგადოებები, რომლებმაც შექმნეს ადრეული გაფრთხილების სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ წყალდიდობის საფრთხეების გამოვლენა და დროული გაფრთხილებების გავრცელება, უკეთ არიან აღჭურვილი დროული რეაგირებისთვის.

რეაგირების ინდიკატორები

საზოგადოების პასუხი წყალდიდობის დროს შეიძლება იყოს განსხვავება წესრიგსა და ქაოსს შორის. გამძლეობის მეტრიკა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს შეაფასონ ამ პასუხის ეფექტურობა რეაგირების ინდიკატორების მეშვეობით. ეს ინდიკატორები ასახავს წყალდიდობის დროს სასწრაფო დახმარების

სერვისების, ევაკუაციის მცდელობებისა და საკომუნიკაციო სისტემების სიჩქარეს და ეფექტურობას. პირველადი დახმარების სააგენტოებს შორის კოორდინაცია და საზოგადოების უნარი მოერგოს განვითარებად სიტუაციებს, ასევე გადამწყვეტი ფაქტორებია რეაგირების ეფექტურობის გასაზომად. რეგულარული წვრთნები და სიმულაციური სავარჯიშოები, უშუალო გამოცდილების მიწოდებით, აძლიერებს ამ საპასუხო ინდიკატორების პრაქტიკულ გამოყენებას.

რაოდენობრივი ინდიკატორები/მეტრიკები

Bulti et al-ის მიმოხილვის მიხედვით (2019), საზოგადოების წყალდიდობისადმი მდგრადობის შეფასების ჩარჩოების შესახებ შერჩეულ კვლევებში განხილული მდგრადობის განზომილებების რაოდენობა იყო 4-დან 8-მდე, სადაც მათ უმრავლესობას აქვს 8 განზომილება. მდგრადობის განზომილებების დაფარვის სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კვლევების ფინანსური, ინსტიტუციური და ფიზიკური ყოვლისმომცველობა შედარებით უკეთესი იყო იქ, სადაც საზოგადოების კომპეტენციები, ტექნიკური და გარემოსდაცვითი საკითხები შედარებით კარგად არ არის დაფარული.

ამ კვლევების მიერ განხილული მდგრადობის ძირითადი ინდიკატორები იყო (Bulti et al., 2019):

- ბუნებრივი ფაქტორები: ბუნებრივი რესურსები, ბუნებრივი რესურსების შენახვა.

- ინფრასტრუქტურული ფაქტორები: ფიზიკური ობიექტები და ინფრასტრუქტურა, დამცავი ინფრასტრუქტურა, ინფრასტრუქტურის ეფექტურობა და მოვლა, მიწათსარგებლობა და სტრუქტურული დიზაინი.

- სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები: ფინანსური სტრუქტურა, უსაფრთხოება, ადამიანთა რაოდენობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების დონე, დახმარების განსაკუთრებული საჭიროება, სოციალური ქსელები, მშვიდობა და უსაფრთხოება, სოციალური მხარდაჭერა, კოლექტიური მოქმედება და გადაწყვეტილების მიღება, კრიტიკული ასახვისა და პრობლემის გადაჭრის

უნარები, მოქნილობა და კრეატიულობა, კოლექტიური ეფექტურობა და ცხოვრების ხარისხი.

- ინსტიტუციური ფაქტორები: აღმასრულებელი, ადგილობრივი ინსტიტუტები, პარტნიორობა, რეგულაციები, განათლება და ტრენინგი, საზოგადოების მონაწილეობა და ჩართულობა.

- ტექნიკური ფაქტორები: ადრეული გაფრთხილების სისტემები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, აღდგენის გეგმები, საგანგებო გეგმები, რესურსების მართვის გეგმა, საფრთხის ზემოქმედება და რუკების შედგენა.

კვლევები და ჩარჩოები, რომლებიც შედგება ინდექსებისგან, ქულების ბარათებისგან და ინსტრუმენტთა ნაკრებისგან, ღირებული ინსტრუმენტებია საზოგადოების მდგრადობის შესაფასებლად და გასაძლიერებლად. თითოეული ჩარჩო განსხვავდება არეალით ან მეთოდოლოგიით. წყალდიდობის მდგრადობის მეტრიკისა და ინდიკატორების კვლევების სია მოცემულია ცხრილში 7.1, Bulti et al. (2019).

ცხრილი 7.1. საზოგადოების მდგრადობის ჩარჩო კვლევების სია (Bulti et al., 2019).

შემუშავებული ჩარჩოს დასახელება	წელი	არეალი	მეთოდი
სანაპირო საზოგადოების გამძლეობის ინსტრუმენტები	2007	აშშ	ინსტრუმენტები
სათემო და რეგიონული გამძლეობის ინიციატივა	2008	აშშ	ინდექსი
საზოგადოების კატასტროფებისადმი მდგრადობის ჩარჩო	2009	აშშ	ინდექსი
ხალხის მდგრადობის ჩარჩო	2010	აშშ	ინდექსი
კატასტროფის გამძლეობის საბაზისო ინდექსი	2010	აშშ	ინდექსი
სანაპირო საზოგადოების გამძლეობის ინდექსი	2010	აშშ	ინდექსი
წყალდიდობის გამძლეობის ინდექსი	2013	ევროპა და აზია	ინდექსი
საზოგადოების კატასტროფებისადმი გამძლეობის ანგარიში	2013	ავსტრალია	ანგარიში
მდგრადი თემების ანგარიში	2013	აშშ	ანგარიში
საზოგადოების გამძლეობის გაზომვის ჩარჩო	2013	მსოფლიო	მოდელი
ARUP-ის ქალაქის გამძლეობის ჩარჩო	2014	მსოფლიო	ინდექსი

IFRC საზოგადოების მდგრადობის ჩარჩო	2014	მსოფლიო	ინსტრუმენტები
ავსტრალიის ბუნებრივი კატასტროფების ინდექსი	2016	ავსტრალია	ინდექსი
ResilSIM	2016	აშშ	მოდელი
საზოგადოების წყალდიდობის გამძლეობის საზომი ინსტრუმენტი	2017	მსოფლიო	ინდექსი
საზოგადოების კატასტროფების გამძლეობის ინდექსი	2017	ლატვია	ინდექსი
წყალდიდობის გამძლეობის სია	2017	აშშ	ანგარიში

ამ კვლევებს შორის, საზოგადოების გამძლეობის გაზომვის ჩარჩო ზომავს საზოგადოების გამძლეობას გლობალური მასშტაბით. იგი ითვალისწინებს ფაქტორების ფართო სპექტრს, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადობას რეგიონალური და კულტურული ვარიაციების გათვალისწინებით. ARUP-ის ქალაქის მდგრადობის ჩარჩო ორიენტირებულია მსოფლიოს ქალაქების ურბანული ტერიტორიების მდგრადობის შეფასებაზე. ის ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, მმართველობა, სოციალური სერვისები და საზოგადოების ჩართულობა. IFRC საზოგადოების მდგრადობის ჩარჩო გთავაზობთ გაიდლაინებსა და ინსტრუმენტებს საზოგადოების მდგრადობის შესაფასებლად. იგი ხაზს უსვამს საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას მდგრადობის აღდგენის მცდელობებში. საზოგადოების წყალდიდობის გამძლეობის საზომი ინსტრუმენტი განიხილავს ფაქტორებს, როგორიცაა ადრეული გაფრთხილების სისტემები, ევაკუაციის გეგმები და კატასტროფის შემდგომი აღდგენის შესაძლებლობები. ევროპისა და აზიის მასშტაბით, წყალდიდობის მდგრადობის ინდექსი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა წყალდიდობის მზადყოფნა, ინფრასტრუქტურის მდგრადობა და საზოგადოების ჩართულობა (Bulti et al., 2019).


მეტრიკის მიღმა, რომელიც რაოდენობრივად განსაზღვრავს საფრთხეებს და ზემოქმედებას, დაუცველობის ინდიკატორები ნათელს ჰფენს საზოგადოების შესაძლებლობებს. მოსახლეობის სიმჭიდროვე წყალდიდობისკენ მიდრეკილ ადგილებში, ინფრასტრუქტურის მგრძნობელობა და ადრეული გაფრთხილების სისტემების არსებობა ინდიკატორების მხოლოდ რამდენიმე მაგალითია, რომლებიც გვთავაზობენ ინფორმაციას საზოგადოების მზადყოფნის შესახებ. ეს

ინდიკატორები ემსახურება პოტენციური დაუცველობის ადრეულ გამაფრთხილებელ ნიშნებს, რამაც შეიძლება გააძლიეროს წყალდიდობის გავლენა. ამ მეტრიკისა და ინდიკატორების შერწყმით, დაინტერესებული მხარეები იძენენ სრულყოფილ ცოდნას წყალდიდობის რისკის შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, დაგეგმონ ინტერვენციები და ეფექტურად გაანაწილონ რესურსები დაუცველობის შესამცირებლად და მდგრადობის გასაძლიერებლად.

7.2.3. წყალდიდობისადმი მიდრეკილი თემებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადობის შეფასება

წყალდიდობის პირობებში საზოგადოების გამძლეობა რთული ქსელის მსგავსია, რომელიც შერწყმულია სხვადასხვა ასპექტებით, რომლებიც ერთად განსაზღვრავენ მის უნარს გაუძლოს, უპასუხოს და აღდგეს. ეს შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოების აღდგენის შესაძლებლობების გაზომვით; ის ვრცელდება წყალდიდობის შემდეგ ადაპტაციის, სწავლისა და გაუმჯობესების უნარის შეფასებაზე. წყალდიდობის მდგრადობის შეფასება მოითხოვს მრავალგანზომილებიან მიდგომას, რომელიც მოიცავს სოციალურ, ინფრასტრუქტურულ და ეკოლოგიურ ინდიკატორებს.

კარაში და სხვ. (2021) წარმოგვიდგენს წყალდიდობის მდგრადობას სურათი7.4.



სურათი7.4. წყალდიდობის მდგრადობაის ვარდი(Karrasch et al., 2021).

კვლევაში წყალდიდობის მდგრადობა დამუშავებულია ორსაფეხურიანი მიდგომის გამოყენებით, რომელიც აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ პერსპექტივებს. ოპერაციების სამი დონე განისაზღვრება სამეცნიერო კონცეფციებისა და შესაბამისი დოკუმენტების გამოყენებით. პირველი დონე აერთიანებს დაცვის, პრევენციის, მზადყოფნისა და აღდგენის ზომებს. მეორე ეტაპზე ბელგიაში, დანიაში, ნიდერლანდებსა და გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული გამოკითხვები გამოიყენება გამძლეობის ზრდის განმარტებებისა და პრაქტიკული გამოყენებადობის დასადასტურებლად (Karrasch et al., 2021).

წყალდიდობის მდგრადობის შეფასების სივრცითი მასშტაბი შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო მასშტაბის, საზოგადოების მასშტაბის, ქალაქის მასშტაბის და ეროვნული მასშტაბის (McClymont et al., 2020). საყოფაცხოვრებო მასშტაბის მეთოდები მდგრადობის გაზომვის ყველაზე გავრცელებული მიდგომაა და ამ კვლევების უმეტესობა ფოკუსირებულია წყალდიდობის ზემოქმედების შეფასებაზე. საზოგადოების მასშტაბით უფრო გავრცელებულია სოციალური პერსპექტივები, ასევე ურბანული სისტემები და წყალდიდობის შერბილების სტრატეგიები. ქალაქის მასშტაბის მეთოდები ფოკუსირებულია ტექნიკურ ინსტრუმენტებზე ქალაქის მასშტაბით მდგრადობის გასაზომად. მათ შორის ბალიკა და სხვ. (2009) გამოიყენა წყალდიდობის დაუცველობის ინდიკატორები, ქალაქის ფიზიკური და სოციალური დაუცველობა. ეროვნული მასშტაბით, კვლევები უფრო მეტად ფოკუსირებულია სტრატეგიულ პერსპექტივაზე, ვიდრე სოციალურზე (McClymont et al., 2020).

7.2.4. შემთხვევის შესწავლა და საუკეთესო მეთოდი წყალდიდობისადმი მდგრადობის გაზომვისას


ეს ნაწილი მოიცავს სგ. კედას აუზში (მალაიზია) ჩატარებული შემთხვევის შესწავლის შეჯამებას. კვლევას შემოაქვს ახალ მიდგომა წყალდიდობის მგრძნობელობისა და რისკის შესაფასებლად ბრინჯის მინდვრებში მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების მიღების მიდგომის გამოყენებით. კვლევა ფოკუსირებულია ბალახის კულტივაციის სპეციფიკურ კონტექსტზე,

რომელიც განიცდის ზრდის სხვადასხვა ეტაპებს (მცენარეობა, გამრავლება და მომწიფება) წყლის სხვადასხვა მოთხოვნებით. დატბორვისა და დაზიანების ინტეგრირებით, კვლევა ადგენს წყალდიდობის დაუცველობის ინდექსს ველებისთვის, რომელიც ითვალისწინებს ზრდის ყველა პერიოდს. რისკის შეფასება ასევე გავლენას ახდენს დატბორვის ხანგრძლივობასა და სიღრმეზე, რომლებიც სპეციფიკურია თითოეული მდებარეობისა და თესლის ჯიშისთვის, რაც გვთავაზობს შედეგებს, რომლებიც წინა კვლევებში შეუმჩნეველი დარჩა. ანგარისში გამოყენებული პარამეტრები მოცემულია ცხრილში 7.2.

შედეგად მიღებული რისკის ინდექსები იყოფა ხუთ კლასად. კვლევა გვაძლევს წყალდიდობის რისკის ყოვლისმომცველ რუკას (ნახ. 7.5), რომელიც შეიძლება გამოიყენონ ხელისუფლებამ და დაინტერესებულმა მხარეებმა წყალდიდობის რისკის დონის ეფექტურად შესაფასებლად, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ბრინჯი გადამწყვეტი კულტურაა.


Table 7.2. Criteria used in the flood resilience index calculation (A. Anuar et al., 2023).

კრიტერიუმი	**საზომი ერთეული**	**1**	**2**	**3**	**4**	**5**
მთლიანი წლიური ნალექი	მმ/წელი	0-1000	1000-1500	1500-2500	2500-3500	>3500
დახრილობა	%	>32,1	24,1-32	16,1-24	8,1-16	<8
ნიადაგის ტიპი	კლასი	<0,4 (ძალიან კარგად შემწოვი)	0,4-0,54 (კარგად შემწოვი)	0,55-0,69 (არასაკმარისად შემწოვი)	0,70-0,84 (ცუდად შემწოვი)	> 0,84 (წყლის მასა)
ამაღლება	მ	>400	300-400	200-300	100-200	<100
მანძილი მდინარიდან	მ	>1000	501-1000	301-500	51-300	<50
მიწათსარგებლობა/სახმელეთო საფარი	კლასი	ტყე	სოფლის მეურნეობა/ღია მიწა საფარით	ღია მიწა საფარის გარეშე	ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი	წყლის კორპუსი / კომერციული და მომსახურება /ტრანსპორტი /სამრეწველო



სურათი 7.5. წყალდიდობის მგრძნობელობის ინდექსის რუკა სგ. კედას აუზი (A. Anuar et al., 2023).


აროკა-ჯიმენესმა და სხვ. (2023) დანერგა უზარმაზარი მონაცემთა ბაზების კოლექცია, მათ შორის სოციალური, კულტურული, ინსტიტუციური, ფიზიკური, ეკოსისტემური და ეკონომიკური ინდიკატორები ესპანეთში ინტეგრირებული მრავალგანზომილებიანი მდგრადობის ინდექსის (IMRI) გამოსათვლელად. ზოგადი მეთოდოლოგია და კონცეფცია ახსნილია სურ. 7.6.



სურათი 7.6. IMRI-ს გამოსათვლელი ეტაპების გრაფიკული მიმოხილვა წყალდიდობის მდგრადობის რაოდენობრიობის დასადგენად (Aroca-Jiménez et al., 2023).

მეთოდოლოგია მოიცავდა წყალდიდობისკენ მიდრეკილი ტერიტორიების იდენტიფიკაციას, შერჩეული ადგილების მიხედვით მონაცემთა ბაზის შემუშავებას, მდგრადობის ფაქტორების იდენტიფიცირებას, მდგრადობის ინდექსის აგებას, გაურკვევლობის ანალიზს და საბოლოოდ კვლევის შედეგების მიღებას, როგორც მდგრადობის სივრცით განაწილებას. გაერთიანებული ინდექსის

მიხედვით რუკაზე ნაჩვენებია სურ. 7.7 სადაც ასევე შესაძლებელია თითოეული ძირითადი პარამეტრის ჯგუფის წვლილი IMRI-ში, როგორც წყალდიდობის წინააღმდეგ მთლიანი მდგრადობის მთავარი მაჩვენებელი.



სურათი 7.7. IMRI ქულები დაყოფილია ზომების მიხედვით შერჩეული ადგილებისთვის (Aroca-Jiménez et al., 2023).

7.3. მეწყერის გამძლეობის საზომი და ინდიკატორები

7.3.1. მეწყრული საფრთხისა და დაუცველობის გაგება

მეწყერი, რომელიც ხშირად ხასიათდება ჩუმი, მაგრამ დამანგრეველი ბუნებით, ხაზს უსვამს დელიკატურ ბალანსს გეოლოგიურ პროცესებსა და ადამიანის საცხოვრებელს შორის. ეს მოვლენები გამოწვეულია ფაქტორების რთული ურთიერთქმედებით, მათ შორის გეოლოგიური პირობებით, მიწათსარგებლობის პრაქტიკით და ნალექის ნიმუშებით. მეწყრული გამძლეობის მეტრიკისა და ინდიკატორების ანალიზი და გამოყენება კრიტიკული კომპონენტებია ამ რთული თავსატეხის გაშიფვრისთვის. ამით ჩვენ შეგვიძლია გავაძლიეროთ თემების შესაძლებლობები, გაუძლოს და აღდგეს ამ ბუნებრივი კატასტროფების გავლენისგან.

მიწის მკვეთრი მოძრაობის შედეგად წარმოქმნილმა მეწყერმა შეიძლება სწრაფად გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები. გეოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა ნიადაგის შემადგენლობა, ფერდობის კუთხეები და გეოლოგიური წარმონაქმნები, მნიშვნელოვნად მოქმედებს მეწყრებისადმი მგრძნობელობაზე. ადამიანის საქმიანობამ, მათ შორის ტყეების გაჩეხვამ, ურბანიზაციამ და არასათანადო სამშენებლო პრაქტიკამ, შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ეს საფრთხეები. დაუცველობის იდენტიფიცირება და შეფასება უმნიშვნელოვანესია თემებისა და ინფრასტრუქტურის მდგრადობის ეფექტურად შეფასებისას პოტენციური მეწყრული მოვლენების წინააღმდეგ. ეს ანალიზი ხელს უწყობს შერბილებისა და მდგრადობის განვითარების მიზნობრივი სტრატეგიის შექმნას, რომელიც მორგებულია არსებულ სპეციფიკურ დაუცველობაზე.

7.3.2. მეწყრული რისკის შეფასების საზომი და ინდიკატორები

მეწყრის რისკის შეფასება გულისხმობს როგორც მეწყრული მოვლენის ალბათობის, ასევე მისი პოტენციური შედეგების საფუძვლიან ანალიზს. გამძლეობის მეტრიკა გვთავაზობს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზომების ერთობლიობას, რომლებიც ფასდაუდებელია.

გეოტექნიკური ინდიკატორები

მეწყერის მდგრადობის არსი მდგომარეობს ფერდობის სტაბილურობის ანალიზში. გეოტექნიკური ინდიკატორები იკვლევს რელიეფის ფიზიკურ თვისებებს, რაც გვაწვდის ინფორმაციას მისი არასტაბილურობისკენ მიდრეკილების შესახებ. ნიადაგის ტიპი, დატკეპნა და წყლის შემცველობა იმ ფაქტორებს შორისაა, რომლებიც გავლენას ახდენს ფერდობის სტაბილურობაზე. საინჟინრო ტექნიკა, როგორიცაა ფერდობის სტაბილურობის ანალიზი და ნიადაგის ტენიანობის მუდმივი მონიტორინგი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს არასტაბილურობის პოტენციალის შეფასებაში. მოცემული გეოტექნიკური ინდიკატორების ისტორიულ მეწყრის მონაცემებთან ინტეგრირებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მაღალი მეწყრის რისკის მქონე რეგიონების იდენტიფიცირება. ყოველივე ეს

საშუალებას აძლევს მიზანმიმართულ ინტერვენციებს და ადაპტირებულ ზომებს ამ სფეროების სტაბილურობის გასაძლიერებლად.

მზადყოფნის ინდიკატორები

მზადყოფნის ინდიკატორები მოიცავს ფაქტორების სპექტრს, რომლებიც ასახავს საზოგადოების მზადყოფნას მეწყერთან დაპირისპირებისთვის. ამ მზადყოფნის საფუძველია ადრეული გამაფრთხილებელი სისტემების შექმნა, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს მეწყრის პოტენციური გამომწვევები და დროულად გასცეს გაფრთხილებები რისკის ქვეშ მყოფთათვის. მოცემული სისტემები, ინტეგრირებული მეტეოროლოგიურ მონაცემებთან და სახმელეთო მოძრაობის მონიტორინგთან, მოსახლეობას უზრუნველყოფს მნიშვნელოვან დროს რეაგირების ზომების დასაწყებად და საჭიროების შემთხვევაში ევაკუაციისთვის. ტექნოლოგიური სისტემების მიღმა, კარგად განსაზღვრული ევაკუაციის გეგმების არსებობა, მკაფიო საკომუნიკაციო პროტოკოლები და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის გამოყოფილი უსაფრთხო ადგილები მეწყრული მზადყოფნის კრიტიკული კომპონენტებია.

მეწყერის რისკის კომუნიკაცია და რეგულარული სათემო წვრთნები ასევე მნიშვნელოვნად უწყობს მზადყოფნას ხელს. საზოგადოებასთან ურთიერთობა, მეწყერთან დაკავშირებული რისკების შესახებ მათი განათლება და ქმედითი ინფორმაციის მიწოდება აძლიერებს მათ ეფექტური რეაგირების უნარს. უფრო მეტიც, სიმულაციური სავარჯიშოები საშუალებას აძლევს თემებს გამოიყენონ რეაგირების სტრატეგიები კონტროლირებად გარემოში, რაც მათ საშუალებას აძლევს დახვეწონ თავიანთი პროცედურები და გააძლიერონ კოორდინაცია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

რეაგირების ინდიკატორები

ეფექტური რეაგირება მეწყრული სტიქიის დროს მოითხოვს კარგად კოორდინირებულ ძალისხმევას. გამძლეობის საზომი გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ რეაგირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასებაში.

რეაგირების ინდიკატორები მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, მათ შორის სასწრაფო დახმარების სერვისების სისწრაფეს, ევაკუაციის პროცედურების ეფექტურობას და რეალურ დროში ინფორმაციის მართვისა და გაზიარების შესაძლებლობას. მეწყრული ღონისძიების დროს სწრაფად განვითარებად სიტუაციებთან ადაპტაციის უნარი აჩვენებს საზოგადოების გამძლეობას. გადაწყვეტილების დროული მიღება, ეფექტური კომუნიკაცია რეაგირების სააგენტოებს შორის და რესურსების ეფექტურად მობილიზების შესაძლებლობა მიუთითებს მტკიცე რეაგირების სტრატეგიაზე.

რეალურ დროში მონაცემთა შეგროვება მეწყრული მოვლენის დროს და მის შემდეგ იძლევა ღირებულ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება იყოს ინსტრუმენტული პასუხის ეფექტურობის შეფასებაში. ღონისძიების შემდგომი ანალიზი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს დაადგინონ გაუმჯობესების ძლიერი მხარეები, რაც ხელს უწყობს სწავლისა და გაუმჯობესების უწყვეტ ციკლს. ამ მონაცემების გამოყენებით, თემებს შეუძლიათ დახვეწონ თავიანთი რეაგირების პროტოკოლები, უფრო ეფექტურად გაანაწილონ რესურსები და უზრუნველყონ მზადყოფნის უფრო მაღალი ხარისხი შემდგომი მოვლენებისთვის.

<u>ინფრასტრუქტურის გამძლეობის ინდიკატორები</u>

მეწყრისადმი მიდრეკილ რეგიონებში ინფრასტრუქტურის მდგრადობა ამ მოვლენების გავლენის გადამწყვეტი განმსაზღვრელია. კრიტიკული ინფრასტრუქტურა, გზების, ხიდების, შენობებისა და ნაგავსაყრელების ჩათვლით, უნდა იყოს შექმნილი იმისთვის, რომ გაუძლოს მეწყერს (მაგ., ტოპრაკი და დალი, 2022). საზომი, რომელიც აფასებს ინფრასტრუქტურის სტრუქტურულ მთლიანობას პოტენციური მეწყერის პირობებში, გვთავაზობს ინფორმაციას მათი გამძლეობის შესახებ. უფრო მეტიც, ადრეული გაფრთხილების სისტემების ინტეგრაცია, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები და საზოგადოების ინფორმირებულობა აძლიერებს მეწყრებისადმი მგრძნობიარე ტერიტორიების საერთო გამძლეობას. ინფრასტრუქტურის მდგრადობის შეფასება გეოტექნიკური

ინდიკატორების შესაბამისად წარმოადგენს მეწყრული მდგრადობის ჰოლისტურ ხედვას, სადაც ფიზიკური სტაბილურობა ემთხვევა მზადყოფნასა და რეაგირებას.

რაოდენობრივი ინდიკატორები/საზომები

ბერა და სხვები (2020) მდგრადობას ოთხ კომპონენტად ანაწილებენ: სოციალური, გარემოსდაცვითი, ფიზიკური და ეკონომიკური. ამ კომპონენტების რაოდენობრივი ინდიკატორები ჩამოთვლილია ქვემოთ:

i) გარემო: მანძილი აქტიური დინებიდან, მანძილი დრენაჟიდან, დახრილობის ხარისხი, დროებითი მეწყრის ალბათობა, მეწყრის სიმკვრივე, დაზიანებული ფართობის სიმკვრივე

ii) სოციალური: სოციალურად დამოკიდებული მოსახლეობის თანაფარდობა, ქალთა თანაფარდობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაფარდობა, წერა-კითხვის მცოდნე პირთა თანაფარდობა, ნაცხოვრები წლები, უახლოესი სახლიდან დაშორება

iii) ეკონომიკური: ყოველთვიური შემოსავალი, დასაქმებული მოსახლეობის თანაფარდობა, საარსებო წყაროს მრავალფეროვნება, საგანგებო სიტუაციებისთვის განკუთვნილი აქტივები

iv) ფიზიკური: გზების ხელმისაწვდომობა წვიმიანი სეზონის დროს, მანძილი ბაზრიდან, მანძილი საავადმყოფოდან, მანძილი ჯანმრთელობის ცენტრიდან, მანძილი უახლოესი სასწრაფო თავშესაფრიდან

7.3.3. მეწყრისადმი მიდრეკილი ტერიტორიების გამძლეობისა და ფერდობის სტაბილურობის შეფასება

ისტორიული მეწყერის სიხშირე ითვლება როგორც მთავარი საზომი მეწყრული რისკის შეფასებაში. წარსული მოვლენების ანალიზი ხელს უწყობს მომავალი ალბათობების წინასწარ განსაზღვრას და არის მზადყოფნის გადამწყვეტი ასპექტი. ნალექების ნიმუშები, განსაკუთრებით ინტენსიური ნალექი, მნიშვნელოვნად

უწყობს ხელს მეწყრის მოვლენებს. ეს საზომი ხელს უწყობს გაზრდილი რისკის პერიოდების იდენტიფიცირებას. რელიეფის დახრილობა, რელიეფთან დაკავშირებული საზომია, რომელიც აფასებს არასტაბილურობისკენ მიდრეკილი ტერიტორიებს. ამ საზომებთან ერთად, ინდიკატორები, როგორიცაა ეროზიის კონტროლის ღონისძიებების არსებობა, მიწათსარგებლობის დაგეგმვა და მცენარეული საფარის მდგომარეობა, იძლევა დამატებით ხედვას. ამ საზომისა და ინდიკატორების ინტეგრირებით, დაინტერესებული მხარეები იძენენ ყოვლისმომცველ ცოდნას ლანდშაფტის მეწყრების პოტენციალის შესახებ.

7.3.4. შემთხვევის შესწავლა და საუკეთესო მეთოდი მეწყრული მდგრადობის გაზომვისას

მეწყრული რისკის შეფასების შესწავლა ჩატარდა Rivi`ere Aux Vases-ის აუზში, კვებეკი, კანადა (Regmi and Agrawal, 2022). კვლევის მთავარი მიზანია ხარისხობრივ მიდგომაზე დაფუძნებული მარტივი მეთოდოლოგიის შემუშავება, რათა მოხდეს მოცემულ ტერიტორიაზე მეწყრული საფრთხის რისკის საიმედო შეფასება გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) დახმარებით. მოცემული ექსპერიმენტი იკვლევს მონაცემთა ოთხ ძირითად პუნქტს: გეოლოგია, ტოპოგრაფია, მიწათსარგებლობა და ჰიდროლოგია მეწყრების მიზეზების შესაფასებლად (ცხრილი 7.3). გარდა ამისა, პოტენციური ზარალის შესაფასებლად მხედველობაში მიიღება კრიტიკული ინფრასტრუქტურა (ცხრილი 7.4) და დემოგრაფიული ინფორმაცია (ცხრილი 7.5). ამ მონაცემთა წერტილების კომბინაცია გამოიყენება Aux Vases წყალგამყოფში მეწყრული რისკების შესაფასებლად.

ცხრილი 7.3. მეწყერის გამომწვევი ცვლადები, რომლებიც იწვევს მეწყერის რისკს.

ცვლადის ტიპი	ცვლადები
გეოლოგიური	ქვა
	ნიადაგი
ტოპოგრაფიული	სიმაღლე
	სიბრტყის გამრუდება
	ფერდობის ასპექტები
	ფერდობის გრადიენტი
მიწის გამოყენება	მიწის გამოყენება

ჰიდროლოგიური	დრენაჟის გამტარობა	
	მდინარესთან სიახლოვე	

ცხრილის 7.3-ის მიხედვით, ნიადაგის ტიპი მეწყრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადია. მოცემულ კვლევაში თიხის ნიადაგს აქვს ფერდობის ყველაზე მეტი არასტაბილურობა. ფერდობის ასპექტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლადია. ფერდობის ასპექტი მიუთითებს რელიეფის ყველაზე ციცაბო დახრილობის მიმართულებაზე. მასზე უპირატესად გავლენას ახდენს რელიეფის მოტეხილობების ან რღვევების გასწორება. შესაბამისად, ეს გავლენას ახდენს მიღებული ნალექის დონეზე და მზის სხივების ზემოქმედების ხარისხზე, რაც საბოლოოდ ზემოქმედებს ფერდობის სტაბილურობაზე. ასევე, ფერდობის გრადიენტი გავლენას ახდენს ადგილობრივი მასშტაბის ტენიანობის შემცველობაზე და ფორების წნევაზე, ისევე როგორც რეგიონალურ ჰიდრავლიკურ ქცევაზე უფრო ფართო მასშტაბით. მიწათსარგებლობა ასევე შეიძლება ეფექტური იყოს, რადგან ტყიანი ტერიტორიები ხელს უწყობს წყლის მუდმივი ნაკადის შენარჩუნებას, რაც საშუალებას იძლევა რეგულარული ინფილტრაციასთვის. ამის საპირისპიროდ, დამუშავებულმა მიწამ შეიძლება გამოიწვიოს ფერდობის არასტაბილურობა ნიადაგის საფარის გაჯერების გამო. უფრო მეტიც, დრენაჟის უფრო დიდი სიმკვრივე მიუთითებს ნიადაგის ან კლდის ფენების გაუმტარიანობაზე, რაც ხაზს უსვამს ფერდობის არასტაბილურობას. გარდა ამისა, ჩამონადენი მნიშვნელოვანი ფაქტორია მეწყრების დასაწყებად. ეროზიის ალბათობა მცირდება მდინარიდან მოშორებით, მისი ნაპირების გასწვრივ, შესაბამისად, მეწყერის მოვლენა უფრო კონცენტრირებული ხდება მდინარის სიახლოვეს.

ცხრილი 7.4. კრიტიკული ინფრასტრუქტურა და დაძლევის შესაძლებლობების ურთიერთობის ნაკლებობა.

კრიტიკული ინფრასტრუქტურა (CI)	მანძილი თემებიდან	დაძლევის სიმძლავრის ნაკლებობა (LoCC)
საავადმყოფო	<6კმ >6კმ	0 1
პოლიციის განყოფილება	<10კმ >10 კმ	0 1
სკოლა	<6კმ >6კმ	0 1

გზები	<200 მ >200 მ	0 1
გადამცემი ხაზები	< 1 კმ > 1 კმ	0 1
რეკრეაციული ობიექტები	< 1 კმ > 1 კმ	0 1

დაძლევის უნარი მოითხოვს მუდმივ ცნობიერებას, რესურსებს, ადრეულ გაფრთხილებებს და ეფექტურ მართვას, როგორც რეგულარულ ვითარებაში, ასევე კატასტროფების დროს. დაძლევის უნარის საზომი არის ინდივიდების, ორგანიზაციებისა და სისტემების შესაძლებლობა გამოიყენონ არსებული უნარები და რესურსები არახელსაყრელ პირობებთან გამკლავების მიზნით. ცხრილის 7.4-ის მიხედვით, თუ თითოეული კრიტიკული ინფრასტრუქტურის LoCC ღირებულება უდრის 1-ს, კატასტროფებისთვის მზადყოფნის/პასუხის დეფიციტის გამო, რომელიც გამოწვეულია რეგიონში ინსტიტუციური მხარდაჭერისა და სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ნაკლებობით, კატასტროფების შედეგები შეიძლება იყოს უფრო მძიმე. ასევე, განისაზღვრება თითოეული კრიტიკული ინფრასტრუქტურის მოსახლეობისგან სიშორე. მაგალითად, პოლიციის განყოფილების არსებობა 10 კმ მანძილზე სასარგებლოდ ითვლება. რეგიონის შესაძლებლობების შეფასება კატასტროფებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის დიდწილად ეყრდნობა ამ კრიტიკული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას. შედეგად, LoCC მნიშვნელობა გამოითვლება LoCC მნიშვნელობის შეჯამებით თითოეული კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის.

ცხრილი 7.5. დემოგრაფიული ცვლადები დაუცველობის შეფასებისთვის.


ცვლადი	**დაუცველობა, რომელიც განსაზღვრავს ატრიბუტებს**
